

საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიამ 2017 წლის 31 აგვისტოს მიიღო №580/23 გადაწყვეტილება „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენა კომისიაში გაიმართა 2017 წლის 12 ოქტომბერს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დღედ განისაზღვრა 2017 წლის 26 ოქტომბერი. კომისიის 2017 წლის 12 ოქტომბრის ზეპირი მოსმენის სხდომას და 2017 წლის 26 ოქტომბრის სხდომას ესწრებოდნენ: შპს "მაგთიკომის" იურისტი დავით ძიძიგური, შპს "მაგთიკომის" გენერალური აუდიტორი ზურაბ ზარიძე, სს „სილქნეტის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი კახი ყურაშვილი, სს „სილქნეტის“ პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი თიკო ტყემელაშვილი, სს „სილქნეტის“ ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თამარ გომარელი, შპს „სისტემ ნეტის“ იურისტი ლიანა ამაშუკელი, შპს „სისტემ ნეტის“ მთავარი ბუღალტერი თამარ არღანიშვილი.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2014 წლის 6 ნოემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N620/9 „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში იმ გეოგრაფიულ ზონაში სადაც ამავე გადაწყვეტილებით ისინი ცნობილ იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი 370 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე).

კომისიის 2015 წლის 16 ივნისის N 351/19 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში. აღნიშნული ცვლილებით დადგინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების კვეთის დიამეტრის (კაბელის კვეთის ფართობი) მიხედვით დადგენის წესი. ამ წესის მიხედვით საკანალიზაციო არხში კაბელის განთავსებისას საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი შეადგენს 40%-ს.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების დეპარტამენტმა ქ. თბილისის გეოგრაფიულ ზონაში შეამოწმა ავტორიზებული პირების საკუთარ საკანალიზაციო არხებში განთავსებული სატელეკომუნიკაციო კაბელების ფაქტობრივი მდგომარეობა და შეისწავლა ევროპის ქვეყნებში საკანალიზაციო არხის დატვირთულობის განსაზღვრის გამოცდილება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იქნა 2017 წლის 14 აგვისტოს N10/6059-17 და 2017 წლის 2 ოქტომბრის N10/7505-17 მოხსენებითი ბარათები, რომლის მიხედვით დგინდება, რომ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხში კაბელის განთავსებისა და ექსპლოატაციის მიზნით საკანალიზაციო არხის გამოყენებადი მოცულობის

და ექსპლოატაციის ნორმები საჭიროებს ცვლილებებს. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ავტორიზებული პირებისათვის საკომუნიკაციო კანალიზაციაში არხების დატვირთულობის კოეფიციენტი უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 65 პროცენტით.

კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების დეპარტამენტმა წარმოადგინა ინფორმაცია მათ მიერ ქ.თბილისის სატელეკომუნიკაციო ქსელში საკანალიზაციო არხების დატვირთვის შემოწმების შედეგების შესახებ. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლები 18, 19, 20 ივლისს და 27 სექტემბერს მივლინებული იყვნენ სს „სილქნეტში“, შპს „ახალი ქსელებში“ და შპს „ახტელში“ და შპს „მათიკომში“ საკანალიზაციო არხების შერჩევით შესამოწმებლად.

18 ივლისს შემოწმდა სს „სილქნეტის“ 100 მმ-იანი საკანალიზაციო არხების დატვირთულობა 4 მისამართზე: წინამძღვრიშვილის ქ. № 95, იოსებძის ქ. №71, ნუცუბიდის ქ. №16, ვაჟა-ფშაველას გამზ. №63. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ მისამართებზე სს „სილქნეტს“ წინამძღვრიშვილის ქ. №95-ში 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებული აქვს ორი 500 წყვილიანი სპილენძის კაბელი (თითოეული დიამეტრით 45,1 მმ) და მასთან ერთად ოთხი ცალი 15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, არხის დატვირთულობა (საკანალიზაციო არხში (მილში) გატარებული კაბელების განივი კვეთის ფართობების ჯამი საკანალიზაციო მილის შიდა დიამეტრის ფართობთან მიმართებით (შემდგომში დატვირთულობა) შეადგენს - 49,5 %, იოსებძის ქ. № 71-ში, 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია ორი 300 წყვილიანი სპილენძის კაბელი (თითოეული დიამეტრით 35,4 მმ) და მასთან ერთად 11 ცალი 15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, დატვირთულია 49,81 %, ნუცუბიდის ქ. №16 - ში, 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია ერთი 100 წყვილიანი (დიამეტრით 22,4 მმ) კაბელი, ერთი ოც წყვილიანი სპილენძის კაბელი (დიამეტრით 14 მმ) და მასთან ერთად 5 ცალი 15 მმ-იანი და სამი 9 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, არხის დატვირთულობა შეადგენს - 20,9 პროცენტს, ვაჟა-ფშაველას გამზ. №63-ში, 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია სამი 300 წყვილიანი (თითოეული დიამეტრით 35,4 მმ) კაბელი, ერთი 100 წყვილიანი (დიამეტრით 22,4 მმ) კაბელი, ორი 50 წყვილიანი (თითოეული დიამეტრით 16,6 მმ), კაბელი, ერთი 10 წყვილიანი სპილენძის კაბელი და მასთან ერთად ერთი 15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, არხის დატვირთულობა შეადგენს 52,75 პროცენტს.

19 ივლისს შემოწმდა შპს „ახალი ქსელების“ 100 მმ-იანი საკანალიზაციო არხების დატვირთულობა 3 მისამართზე: ჩიქოვანის ქ. № 16, ასს-69-ის სასადგურე ჭა, ნათაძის ქ. № 3.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შემოწმებულ მისამართებზე ჩიქოვანის 16-ში 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია ორი 600 წყვილიანი (თითოეული დიამეტრით 42,7 მმ) კაბელი, ერთი 100 წყვილიანი (დიამეტრით 20,7 მმ) კაბელი, ერთი 20 წყვილიანი სპილენძის კაბელი (დიამეტრით 12,7 მმ), და მასთან ერთად ათი 15 მმ იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, არხის დატვირთულობა შეადგენს 65,48 %, ასს-69-ის სასადგურე ჭაში გატარებულია ორი - 600 წყვილიანი (თითოეული დიამეტრით 42,7 მმ), ერთი 100 წყვილიანი (დიამეტრით 20,7 მმ), ერთი 50 წყვილიანი სპილენძის კაბელი (დიამეტრით 15,9 მმ), და მასთან ერთად შვიდი 15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, არხის დატვირთულობა შეადგენს 59,06 პროცენტს, ნათაძის ქ. № 3-ში 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია ერთი 200 წყვილიანი (დიამეტრით 27 მმ), ორი 100 წყვილიანი სპილენძის კაბელი (თითოეული დიამეტრით 20,7 მმ), და მასთან ერთად ცხრა 15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, არხის დატვირთულობა შეადგენს 36,53 პროცენტს.

20 ივლისს შემოწმდა შპს „ახტელის“ 100 მმ-იანი საკანალიზაციო არხების დატვირთულობა 3 მისამართზე: რევაზ მამისაშვილის ქ. №2, ქ. წამებულის გამზ. №69 და მეტრომშენის მოედანი. რევაზ მამისაშვილის ქ. № 2-ში 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია ერთი 600 წყვილიანი (დიამეტრით 42,7 მმ) კაბელი, ორი - 100 წყვილიანი (თითოეული დიამეტრით 20,7 მმ) კაბელი, ერთი 50 წყვილიანი სპილენძის კაბელი (დიამეტრით 15,9 მმ) და მასთან ერთად ოთხი -15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად არხის დატვირთულობა შეადგენს 38.41 პროცენტს. ქ. წამებულის გამზირი №69 - ში 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია ერთი 600 წყვილიანი სპილენძის კაბელი (დიამეტრით 42,7 მმ) და მასთან ერთად რვა 15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი

შესაბამისად, არხის დატვირთულობა შეადგენს 36.23 პროცენტს. მეტრომშენის მოედანზე 100 მმ-იან საკანალიზაციო არხში გატარებულია მხოლოდ ცამეტი 15 მმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. შესაბამისად, არხის დატვირთულობა შეადგენს 29,24 პროცენტს.

27 სექტემბერს შემოწმდა შპს „მაგთიკომის“ 100 მმ-იანი საკანალიზაციო არხების დატვირთულობა 2 მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზირი N157/2 და ბელიაშვილის ქუჩა 113^ბ საპირისპირო მხარეს. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „მაგთიკომის“ 100 მმ² საკანალიზაციო არხში დავით აღმაშენებლის გამზირი N157/2 ჩადებულია 7 ოპტიკური კაბელი 144 ოპტიკური ძარღვით 16, 5 მმ² განაკვეთით; 1 ოპტიკური კაბელი 144 ოპტიკური ძარღვით 13 მმ² განაკვეთით; 1 ოპტიკური კაბელი 4 ოპტიკური ძარღვით 7,3 მმ² განაკვეთით; 1 ოპტიკური კაბელი 16 ოპტიკური ძარღვით 10 მმ² განაკვეთით. შესაბამისად - არხის დატვირთულობა (საკანალიზაციო არხში (მილში) გატარებული კაბელების განივი კვეთის ფართობების ჯამი საკანალიზაციო მილის შიდა დიამეტრის ფართობთან მიმართებით (შემდგომში დატვირთულობა) შეადგენს - 22,3 პროცენტს. 60 მმ-იან საკანალიზაციო არხში ბელიაშვილის ქუჩა 113^ბ საპირისპირო მხარეს ჩადებულია 9 ოპტიკური კაბელი, აქედან 1 კაბელი 144 ოპტიკური ძარღვით 16, 5 მმ² განაკვეთით; 2 კაბელი 24 ოპტიკური ძარღვით 10 მმ² განაკვეთით; 1 კაბელი 32 ოპტიკური ძარღვით 11,4 მმ² განაკვეთით; 1 კაბელი 96 ოპტიკური ძარღვით 10 მმ² განაკვეთით; 2 კაბელი 8 ოპტიკური ძარღვით 8 მმ² განაკვეთით; 2 კაბელი 4 ოპტიკური ძარღვით 7.3 მმ² განაკვეთით. შესაბამისად - არხის დატვირთულობა (საკანალიზაციო არხში (მილში) გატარებული კაბელების განივი კვეთის ფართობების ჯამი საკანალიზაციო მილის შიდა დიამეტრის ფართობთან მიმართებით (შემდგომში დატვირთულობა) შეადგენს - 26 პროცენტს.

სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის თანახმად შემოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ ავტორიზებულ პირების მფლობელობაში არსებულ 100 მმ-იანი საკანალიზაციო არხებში პრაქტიკულად დატვირთულობის კოეფიციენტი ბევრად მაღალია, ვიდრე კომისიის 2016 წლის 31 მაისის № 336/19 გადაწყვეტილებაში განსაზღვრული 40 პროცენტისა (აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 100 მმ დიამეტრის საკანალიზაციო მილში შესაძლებელია გატარდეს მაქსიმუმ 17 ცალი - 15 მმ-იანი კაბელი).

სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების დეპარტამენტმა ასევე შეისწავლა ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხის დატვირთულობის (შეესების) კოეფიციენტის განსაზღვრის თაობაზე.

ლიტვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ 2011 წლის 14 ოქტომბერს დამტკიცებული იქნა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მონტაჟის, მარკირებისა და მონიტორინგის წესები. აღნიშნულ დოკუმენტში არხის დაკავებულობა განსაზღვრულია შემდეგი ფორმულით:

$$D = K \sqrt{d_1^2 + d_2^2 + \dots + d_k^2 + d_p^2}$$

სადაც,

- K - ოპერატორის მიერ საკანალიზაციო არხში თავისუფალი ფართობის კოეფიციენტია და მისი განსაზღვრა ხდება სხვადასხვა შემთხვევებისთვის ცხრილ 1-ის საშუალებით:

ცხრილი N1

მილის შიგა დიამეტრი, რომელშიც დაგეგმილია გაყვანილი იქნას	კოეფიციენტი (K)
--	-----------------

კავშირგაბმულობის კაბელები, მმ		≤ 40	41-53	54-60	≥ 61
მილის სიგრძე (L), რომელშიც დაგეგმილია საკომუნიკაციო კაბელების გატარება (მ) და კაბელების რაოდენობა, რომლებიც დაგეგმილია ჩაიდოს (ცალი)					
L ≤ 50	ორ კაბელამდე	1.5	1.45	1.45	1.45
	3 და მეტი კაბელი	1.5	1.4	1.3	1.25
50 < L ≤ 150	ორ კაბელამდე	1.65	1.55	1.55	1.45
	3 და მეტი	1.65	1.55	1.45	1.35
150 < L ≤ 300	3 და მეტი	1.8	1.75	1.7	1.65

ავტორიზებული პირების მფლობელობაში არსებული საკანალიზაციო არხების დიამეტრის, ჭებს შორის მანძილის და საკანალიზაციო არხებში გატარებული კაბელების რაოდენობის გათვალისწინებით K კოეფიციენტი საქართველოსთვის 1.35 -ის ტოლია. საქართველოში საკანალიზაციო არხების შიდა დიამეტრი ძირითადად 100 მმ-ია (მეტია 61 მმ-ზე) ამასთან კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების მე-8 ფორმის მიხედვით თბილისში საკანალიზაციო ჭებს შორის მანძილი საშუალოდ 80-130 მეტრია და ერთ არხში განთავსებულია ან შესაძლებელია განთავსდეს 3 ან მეტი კაბელი.

d_1, d_2, d_3, d_k - არხში გასატარებელი კაბელების დიამეტრია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ავტორიზებული პირებისათვის საკომუნიკაციო კანალიზაციაში არხების დატვირთულობის კოეფიციენტი საკანალიზაციო არხებში კაბელის გატარების დასადგენად უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 65 პროცენტისა.

კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილებით შპს "სისტემ ნეტი" ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას კვარტლების ადგილობრივი მომსახურების ზონაში მასთან აფილირებულ ავტორიზებულ პირთან შპს "ახალი ქსელებთან" და სს "სილქნეტთან" და შპს "მაგთიკომთან" ერთად ერთობლივად დადგენილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად და დაკისრებული აქვს: ა) ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება; ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება; გ) დაშვების ვალდებულება; დ) სატარიფო რეგულირება და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება და ე) განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება.

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 21 სექტემბრის N03/162 წერილით კომისიას მიმართა შპს „სიტემ ნეტმა“ სადაც აღნიშნავს, რომ ქ. თბილისში კომპანიის მფლობელობაშია საკანალიზაციო არხი ჯამში 1.6 კილომეტრი. იმისი გათვალისწინებით, რომ შპს „სისტემ ნეტი“ არ არის საცალო მომსახურების მიმწოდებელი და მის მფლობელობაში არსებული საკანალიზაციო არხების მოცულობა ისე მცირეა, რომ მასზე დანახარჯების გადანაწილება არ იქნება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი. შესაბამისად კომპანია ითხოვს, რომ „სისტემ ნეტს“ მოეხსნას განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, ხოლო დანარჩენი ვალდებულებები დარჩეს უცვლელი.

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 12 თებერვლის N4582/05-08 წერილით სს „სილქნეტმა“ წარმოადგინა კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებული კომისიის გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები. სს „სილქნეტი“ 2017 წლის 12 თებერვლის N4582/05-08 წერილში აღნიშნავს, რომ კომისია მისაღებ გადაწყვეტილებას ამყარებს ქ.თბილისში

საკანალიზაციო არხის მაქსიმალურად დატვირთული მონაკვეთების შემოწმებასა და საკანალიზაციო არხის დატვირთულობის კოეფიციენტის საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლაზე.

სს „სილქნეტი“ 2017 წლის 12 თებერვლის N4582/05-08 წერილში ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად კანონის მოთხოვნებისა და თავად კომისიის მიერ 2014 წლის 6 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებისა, დღეს, ისე რომ საკანონმდებლო ბაზა არ შეცვლილა, კომისია კვლავ უცვლის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს მათზე დაკისრებულ სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულებას და უდგენს ფორმულას, რომელიც გარდა იმისა, რომ არ ეფუძნება არანაირ გათვლებს და მხოლოდ თეორიულ ხედვაზეა აგებული, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნასთან. ამასთან, კომისია, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, სატარიფო რეგულირების ფარგლებში ტარიფის გათვლის ფორმულას კვლავ ადგენს არა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის ფაქტიური დანახარჯების კალკულაციის მეთოდით, არამედ საერთოდ გაუგებარი მეთოდოლოგიით, როდესაც კომპანიის მთლიანი ხარჯი ნაწილდება არა კანალიზაციაში ფაქტიურად არსებული კაბელების საშუალო მაჩვენებელზე, არამედ იმ თეორიულ მაქსიმუმზე, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ფაქტიურ მაჩვენებელს, რომლის პრაქტიკულად განხორციელების ალბათობა ნულის ტოლია და რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ისეთი ტარიფების დადგენამდე, რაც არა თუ ხარჯებზე ორიენტირებულია, როგორც ამას მოითხოვს კანონის 35-ე მუხლი, არამედ ვერ უზრუნველყოფს კომპანიის ხარჯების კომპენსირებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სს „სილქნეტს“ მიაჩნია, რომ კომისიის მიერ გამოქვეყნებული კომისიის გადაწყვეტილების პროექტი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

კომისია აღნიშნავს, რომ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის საბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ფარგლებში სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი (წერილი N4052/01-8, 23.10.2014წ.) საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების მოდელის მიხედვით საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხში კაბელების გატარების მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას ამ მომსახურებაზე გაწეული საოპერაციო ხარჯების, ზედნადები ხარჯების და კაპიტალის ღირებულების ჯამი გაიყო საკანალიზაციო არხების სრული სიგრძის 10 პროცენტზე. სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 10 პროცენტი წარმოადგენს საკანალიზაციო არხის ფაქტიურად დატვირთულ მოცულობას, რომელიც მიიღება საკანალიზაციო არხებში გატარებული კაბელების მოცულობის და საკანალიზაციო არხების მთლიან მოცულობის თანაფარდობით. იმ შემთხვევაში თუ სს „სილქნეტი“ კვლევაში მონაწილე სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების (შპს „ახალი ქსელების“ და შპს „ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ და შპს „კავკასუს ონლაინის“) მსგავსად ერთ არხ კილომეტრზე (100 მმ-ინი დიამეტრის) საკანალიზაციო არხის დანახარჯებს გაიანგარიშებდა საკანალიზაციო არხების სრულ სიგრძის და არა საკანალიზაციო არხების ფაქტიურ დატვირთვის (10 პროცენტი) მიხედვით, მაშინ ერთ არხ კილომეტრზე (100 მმ-ინი დიამეტრის) დანახარჯები თვეში იქნებოდა 368 ლარის ნაცვლად 65 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე სს „სილქნეტისთვის“ საკანალიზაციო არხში 100 მმ-იანი მილის ერთ არხ კილომეტრზე დადგენილ ტარიფში (370 ლარი) გათვალისწინებულია არხის გარანტირებულად თავისუფალი (90 პროცენტი დაუკავებელი ფართობის) სივრცის კუთვნილი დანახარჯებიც. აღნიშნული მიდგომით, სს „სილქნეტი“ საკუთარ კანალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს ინაზღაურებს კანალიზაციის 10 პროცენტის დატვირთვისას, ხოლო 10 პროცენტს ზემოთ საკუთარ საკანალიზაციო არხში გატარებული კაბელიდან მიღებული საიჯარო ქირის თანხა სუფთა მოგების სახით (დანახარჯების გარეშე) აისახება სს „სილქნეტის“ შემოსავლებში, რადგან საკანალიზაციო არხებზე გასაწევი დანახარჯები ანაზღაურდება საკანალიზაციო არხების ფაქტიურ დატვირთვიდან (10 პროცენტი) მათ შორის, როგორც საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული საკანალიზაციო არხების დატვირთვით ასევე სხვა ავტორიზებულ პირებზე საკანალიზაციო არხების იჯარით გაცემით. შესაბამისად, სს „სილქნეტისთვის“ საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი სხვა ავტორიზებული პირებისგან განსხვავებით არა 40 პროცენტია, არამედ მხოლოდ 4 პროცენტი (40

პროცენტის 10 პროცენტი), ხოლო საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტის 65 პროცენტის შემთხვევაში ის 6.5 პროცენტი იქნება (65 პროცენტის 10 პროცენტი).

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხი ავტორიზებული პირის მიერ ძირითადად გამოიყენება საკუთარი საცალო და საბითუმო მომსახურებების მიწოდების უზრუნველსაყოფად, ხოლო რაც შეეხება იჯარით გაცემული არხების ოდენობას, იგი საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენებული არხების ოდენობასთან შედარებით ყოველთვის მნიშვნელოვნად მცირეა. ამასთან ერთად, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების შენახვისა და ექსპლუატაციის დანახარჯები ეკონომიკური შინაარსით მუდმივი ხასიათისაა და არ იცვლება საკანალიზაციო არხებში გატარებული და გასატარებელი კაბელების მოცულობის ცვლილებასთან ერთად (საკანალიზაციო არხში ახალი კაბელის გატარდება არ იწვევს დამატებითი დანახარჯების წარმოქმნას). შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენებული საკანალიზაციო არხებზე გაწეული დანახარჯები არ უნდა ანაზღაურდებოდეს იჯარით გაცემული საკანალიზაციო არხებიდან მიღებული შემოსავლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2015 წლის 16 ივნისის N 351/19 გადაწყვეტილებით მიღებული ფორმულა ითვალისწინებს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხის დატვირთულობით გამოწვეულ დანახარჯების კანონზომიერებას და ადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხში კაბელის კვეთის დიამეტრის მიხედვით ტარიფის დადგენის წესს და არ წარმოადგენს საკანალიზაციო არხში კაბელების გატარების ტექნიკურ სტანდარტს, რადგან სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხის ფაქტიური დატვირთულობა შესაძლოა, რომ 65 პროცენტზე უფრო მეტი იყოს, რაც კომისიის მიერ საკანალიზაციო არხების დატვირთულობის ფაქტიური შემოწმებითაც დადასტურდა.

კომისია აღნიშნავს, რომ სს „სილქნეტის“ საკანალიზაციო არხები აღრიცხულია თავდაპირველი/ისტორიული ღირებულებით, რომელიც საბაზრო ღირებულებით არასდროს არ შეფასებულა. ამასთან ერთად, სს „სილქნეტს“ ზუსტად არ აქვს ინვენტარიზებული და აღრიცხული სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების ვარგისი და უვარგისი ნაწილები, რაც იწვევს სს „სილქნეტის“ მიერ საკანალიზაციო არხების შენახვისა და ექსპლუატაციაზე დანახარჯების არაეფექტურად გაწევას და ამ ხარჯების სხვა ავტორიზებულ პირებისთვის იჯარით გაცემული სატელეკომუნიკაციო არხების საფასურიდან ანაზღაურების მოთხოვნას.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიების მიერ წარმოდგენილი სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მოდელები განსხვავებული იყო, როგორც მიდგომების, ასევე დანახარჯების მომსახურების სახეებზე გადანაწილების კრიტერიუმების მიხედვით. გაანგარიშების მოდელთან დაკავშირებით, როგორც თვითონ სს „სილქნეტის“ ასევე კომისიის მხრიდან არსებობს შენიშვნები. იმისათვის, რომ კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფი დამოკიდებული არ იყოს კონკრეტული კომპანიების სააღრიცხვო პრობლემებზე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურებების მსურველი ავტორიზებული პირების ინტერესების დაცვის მიზნით ზედა ზღვრული ტარიფების სიზუსტის დასადგენად უნდა გაგრძელდეს კომისიის მუშაობა გაანგარიშების ახალ მოდელთან დაკავშირებით, რისთვისაც აუცილებელია, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტმა შეისწავლოს ეფექტური ოპერატორის დანახარჯების მოდელის შესახებ ევრო კავშირის ქვეყნებში არსებული პრაქტიკა და უახლოს მომავალში მომზადდეს სატენდერო დოკუმენტაცია, იმისათვის რომ კომისიამ დროულად მოახდინოს საკონსულტაციო კომპანიისგან შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22 -ე მუხლის, V თავის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვეტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების 7.4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების ტარიფი უნდა დადგინდეს კაბელის კვეთის ფართობის მიხედვით; საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების ტარიფის დადგენის მიზნებისათვის საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი ტოლი უნდა იყოს 65%-ის, შესაბამისად განსათავსებელი კაბელის კვეთის (კაბელის გარე დიამეტრის გათვალისწინებით) ჯამური ფართობის შეფარდება საკანალიზაციო არხის კვეთის ფართობთან (შიდა დიამეტრის გათვალისწინებით) ტოლი უნდა იყოს 0.65-ს. საკანალიზაციო არხში გასატარებელი კაბელის მომსახურების ტარიფი უნდა დადგინდეს შემდეგი ფორმულით:

$$\frac{S1}{S * 0.65} * 370 \text{ (ლარი)}$$

სადაც,

S -100 მმ-იანი არხის ფართობია (7850 მმ²),

S1-გასატარებელი კაბელის ფართობი, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით $S1 = \pi \times R^2$

2. შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების 7.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს შპს „სისტემ ნეტს“ გარდა, ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობით: მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე“;

3. დაევალოს სს „სილქნეტის“, შპს "ახალი ქსელებს" და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „მაგთიკომს“, შპს „სისტემ ნეტს“ 2017 წლის 15 ნოემბრამდე კომისიაში გამოსაქვეყნებლად წარმოადგინონ წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად განახლებული ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა) და მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა განსაზღვრონ არანაკლებ 2 წლის ვადით;

4. წინამდებარე გადაწყვეტილება პირველი პუნქტის გარდა ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე, ხოლო გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ძალაშია 2017 წლის 1 დეკემბრიდან;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილს).

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

კომისიის წევრები:

ვახტანგ აბაშიძე

ელისო ასანიძე

გიორგი ფრუიძე

მერაბ ქათამაძე